


1991

13



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მთავრობის

**დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული**

1941 წ. 16 ივლისი

№ 21

თბილისი

**შ ი ნ ა ა რ ს ი**

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

- 32. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოწყობის შესახებ.  
წესდება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა.
- 33. საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

\_\_\_\_\_

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

### 132. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოწყობის შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში შექმნილია სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ფართო ქსელი და მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცნიერ-მუშაკთა მაღალკვალიფიციური კადრები.

ითვალისწინებს რა საქართველოში სამეცნიერო-საკვლევო საქმის შემდგომი განვითარების ინტერესებს და იმის აუცილებლობას, რომ ერთიან ხელმძღვანელ ცენტრად გაერთიანდეს რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ხელმძღვანელობა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია.

2. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამგებლობაში გადაეცეს:

ა) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ყველა დაწესებულება;

ბ) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რომელიც საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში იმყოფება, აგრეთვე გეოლოგიის ინსტიტუტი, ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, ფსიქოლოგიის ლაბორატორია და ყოფილი ფიზიკური ინსტიტუტის ლაბორატორია, რომლებიც სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგებლობაში იმყოფებიან.

3. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანდართული წესდება და სტრუქტურა.

4. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობა განისაზღვროს 15 კაცის რაოდენობით.

5. დაწესდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობის დასახელებისა და დამტკიცების შემდეგი წესი:

ა) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემადგენლობას დასახელებს მთავრობის სპეციალური კომისია, რომელიც თავის წინადადებებს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

ბ) საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობის კანდიდატებს წამოაყენებენ სამეცნიერო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერი მუშაკები და მათი ჯგუფები იმ მეცნიერთა რიცხვიდან, რომლებმაც მეცნიერებას შემატეს პირველხარისხოვანი სამეცნიერო მნიშვნელობის შრომები და რომლებიც ხელს უწყობენ სსრ კავშირის სოციალისტურ მშენებლობას;

გ) სამეცნიერო დაწესებულებანი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ცალკეული მეცნიერი მუშაკები და მათი ჯგუფები დაასახელებენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატებს და 1941 წლის 20 თებერვლამდე მთავრობის კომისიას წარუდგენენ სათანადო მასალებს.

6. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის იმ კანდიდატთა მასალების განსახილველად, რომლებიც დასახელებული არიან სამეცნიერო დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, ცალკეულ მეცნიერ მუშაკთა და მათი ჯგუფების მიერ, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამხ. გ. ი. კიკნაძე (თავმჯდომარე), ამხ. ი. კ. თავაძე, დ. ს. ყიფშიძე (სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი), აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი, პროფესორი ს. ნ. ჯანაშია და პროფესორი გ. ს. ახვლედიანი.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ის საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1941 წ. 10 თებერვალი № 183.

თბილისი.

## წ ე ს დ ე ბ ა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა

### 1. საერთო ღებულებანი

1. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია არის საქართველოს სსრ უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც აერთიანებს რესპუბლიკის განსაკუთრებით გამოჩენილ მეცნიერებს.

მეცნიერებათა აკადემია ექვემდებარება უშუალოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომელსაც იგი ყოველწლივ უდგენს თავისი მოღვაწეობის ანგარიშს.

2. მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი ამოცანაა—ყოველმხრივ ხელი შეუწყოს თეორიულსა და აგრეთვე გამოყენებითი მეცნიერების საერთო აღმავლას საქართველოს სს რესპუბლიკაში, შეისწავლოს და განავითაროს საკავშირო და მსოფლიო მეცნიერული აზროვნების მიღწევანი. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ხელისშეწყობის მიზნით მეცნიერებათა აკადემია თავის მუშაობას საფუძვლად უდებს მეცნიერულ მიღწევათა გეგმაშეწონილ გამოყენებას.

3. ამ ძირითადი ამოცანის შესრულების მიზნით მეცნიერებათა აკადემია:

ა) თავის მუშაობას აფუძნებს უდიდეს წამყვან პრობლემებზე მეცნიერების ყველა დარგში;

ბ) შეისწავლის რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა და საწარმოო ძალებს და აგრეთვე კაცობრიობის კულტურულსა და ეკონომიურ მიღწევებს და ხელს უწყობს მათ დროულად და რაციონალურად გამოყენებას;

გ) ამზადებს მაღალკვალიფიციურ სამეცნიერო კადრებს და ხელს უწყობს საქართველოს სსრ და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მეცნიერულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

დ) მოემსახურება საქართველოს სსრ მთავრობის უმაღლეს ორგანოებს სამეცნიერო ექსპერტიზის ორგანიზაციით.

4. მეცნიერებათა აკადემია იყოფა ორ განყოფილებად: საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება და მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა განყოფილება.

5. მეცნიერებათა აკადემია თავის შემადგენლობაში აარსებს საკვლევო ინსტიტუტებს, ბიბლიოთეკებს, მუზეუმებს, ლაბორატორიებს, კაბინეტებსა და კომისიებს და ყოველმხრივ ცდილობს უზრუნველყოს მეცნიერებათა აკადემიის აღნიშნული დაწესებულებანი მაღალკვალიფიციური სამეცნიერო შემადგენლობითა და სათანადო მოწყობილობებით.

6. მთელი სამეცნიერო მუშაობის საერთო მიმართულების უზრუნველსაყოფად, თავის თანამშრომელთა საკვლევო მუშაობაში შესაძლო სისრულის მისაღწევად და ამ მუშაობის კოორდინაციისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის მნიშვნელოვან სამეცნიერო დაწესებულებათა, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობასთან, მეცნიერებათა აკადემია სამეცნიერო საკითხებზე მოსათათბირებლად იწვევს მეცნიერებათა აკადემიის სესიებს, სამეცნიერო ყრილობებს და თათბირებს და ამყარებს სამეცნიერო კავშირს აკადემიებთან, საქართველოს სს რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან და საზოგადოებებთან.

ამასთან ერთად მეცნიერებათა აკადემია აწყობს სამეცნიერო, საკვლევადიებო ექსპედიციებს და აქვეყნებს მის მიერ მოწონებულ გამოკვლევებს, წარმოდგენილს აკადემიის წევრებისა თუ სხვა მეცნიერთა მიერ.

7. სამეცნიერო კადრების სისტემატიური მომზადების მიზნით მეცნიერებათა აკადემიასთან არსებობს სპეციალური ასპირანტურა; ამასთან ერთად მეცნიერებათა აკადემია აწარმოებს სისტემატიურ მუშაობას საქართველოს სსრ სამეცნიერო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რისთვისაც აწყობს ლექციებისა და მოხსენებების სათანადო ციკლებს და აწყობს თავის დაწესებულებებში ახალგაზრდა მეცნიერებს პრაქტიკულ მეცადინეობისა და ცოდნის სრულყოფისათვის.

8. მეცნიერებათა აკადემია, მასში წარმოდგენილ დისციპლინათა კონსულტაციისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხს.

მეცნიერებათა კანდიდატისა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მინიჭება ხორციელდება მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მიერ—სამეცნიერო ხარისხების მინიჭების შესახებ არსებული დებულების შესაბამისად.

9. მეცნიერებათა აკადემია სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით. მეცნიერებათა აკადემიის ხარჯთაღრიცხვა შედის საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში.

## II. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობა

10. მეცნიერებათა აკადემია შედგება ნამდვილი წევრებისაგან (აკადემიკოსები), საპატიო წევრებისა, წევრ-კორესპონდენტებისა და აკადემიის დაწესებულებებში მომუშავე მეცნიერ თანამშრომელთა ძირითადი შტატისაგან.

11. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა რიცხვში აირჩევიან მეცნიერები, რომელთაც გაუმდიდრებიათ მეცნიერება პირველხარისხოვანი სამეცნიერო მნიშვნელობის შრომებით და რომელნიც ხელს უწყობენ სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის საქმეს.

12. მეცნიერებათა აკადემიას შეუძლია აირჩიოს საპატიო წევრები იმ მეცნიერთაგან, რომელთაც გაუმდიდრებიათ მეცნიერება მსოფლიო მნიშვნელობის შრომებით.

13. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრი-კორესპონდენტები სამეცნიერო მუშაობას აწარმოებენ მეცნიერებათა აკადემიის სამუშაო პროგრამასთან შეფარდებით და თავისი მოღვაწეობის შესახებ ყოველწლივ უდგენენ მას ანგარიშს, აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებებზე და განყოფილების სხდომებზე, ასრულებენ მეცნიერებათა აკადემიის დავალებებს და მონაწილეობას იღებენ მეცნიერებათა აკადემიის მიერ სამეცნიერო კარების მომზადებაში.

14. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები და წევრი-კორესპონდენტები შეიძლება ერთდროიანად დროს შედიოდნენ მეცნიერებათა აკადემიის სხვადასხვა განყოფილების შემადგენლობაში.

## III. ნამდვილ წევრთა, საპატიო წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა არჩევის წესი

15. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა რიცხვი განისაზღვრება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—მეცნიერებათა აკადემიის წარდგენით.

16. ცნობას ნამდვილ წევრთა ვაკანსიების შესახებ მეცნიერებათა აკადემია აქვეყნებს პრესის საშუალებით.

17. სამეცნიერო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ცალკეულ მეცნიერ მუშაკებს და მათ ჯგუფებს უფლება ეძლევათ, ორი თვის განმავლობაში დღიდან პუბლიკაციისა, აცნობონ მეცნიერებათა აკადემიას წერილობით და სათანადო დასაბუთებით შესაფერი სპეციალობის გამოჩენილ მეცნიერთაგან კანდიდატთა სახელები მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრობაზე. მეცნიერებათა აკადემიაში წარდგენილ კანდიდატთა სახელები ქვეყნდება პრესაში.

18. სია კანდიდატთა და მათი დახასიათება დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა მიერ უნდა მოხსენდეს მეცნიერებათა აკადემიის სათანადო განყოფილების კრებას, რის შემდეგაც იმავე სხდომაზე ფარული კენჭის ყრით ხდება კანდიდატთა არჩევნები; არჩეულ კანდიდატებად ჩაითვლებიან ისინი, რომელთაც მიიღეს განყოფილების ხმათა საერთო რიცხვის არა ნაკლებ 2/3-ისა. განყოფილების მიერ შერჩეულ კანდიდატთა სახელები ეცნობება მეცნიერებათა აკადემიის უახლოეს საერთო კრებას; მათი არჩევა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად ხდება ფარული კენჭის ყრით; არჩეულად ჩაითვლებიან ის პირნი, რომელთაც ხმის უბრალო უმეტესობა მიიღეს.

19. საპატიო წევრთა კანდიდატების წამოყენება ხდება მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების მიერ. არჩევნები ტარდება მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ ფარული კენჭის ყრით; არჩეულად ჩაითვლებიან ის პირნი, რომელთაც მიიღეს ხმათა არა ნაკლებ 2/3-ისა.

20. წევრ-კორესპონდენტად შეიძლება არჩეულ იქნან გამოჩენილი მეცნიერები ცოდნის სხვადასხვა დარგიდან. მეცნიერებათა აკადემიაში მუდმივ სამუშაოზე მოწვეული წევრი-კორესპონდენტები ჩაირიცხებიან აკადემიის შტატში.

21. წევრ-კორესპონდენტთა არჩევნების ორი თვის წინ ხდება პუბლიკაცია არსებული ვაკანსიების შესახებ; ყველა სამეცნიერო დაწესებულებას, საზოგადოებრივ დაწესებულებებს და ცალკეულ პირთ უფლება ეძლევათ შეიტანონ მეცნიერებათა აკადემიაში დასაბუთებული წარდგენა კანდიდატთა შესახებ.

შემოსულ განცხადებათა განხილვა და დასახელებულ კანდიდატთა არჩევნები ტარდება სათანადო განყოფილებებში და არჩეულად ჩაითვლებიან ის პირნი, რომელთაც მიიღეს ხმათა საერთო რიცხვის არა ნაკლებ 2/3-ისა. განყოფილებათა მიერ ჩატარებული არჩევნები წევრ-კორესპონდენტებისა მტკიცდება მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ ხმის უბრალო უმეტესობით.

22. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ და საპატიო წევრთა არჩევნების ჩასატარებლად და წევრ-კორესპონდენტების დასამტკიცებლად მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე საჭიროა—ნამდვილ წევრთა საერთო შემადგენლობიდან დასწრება არა ნაკლებ 2/3-ისა.

23. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებს, საპატიო წევრებს და წევრ-კორესპონდენტებს ჩამოერთმევათ მათი ხარისხი საერთო კრების დადგენილებით, თუ მათი მოღვაწეობა—სსრ კავშირის საზიანოდ არის მიმართული.

#### IV. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მმართველობის საერთო ორგანოები

24. მეცნიერებათა აკადემიის უმაღლეს ორგანოდ ითვლება აკადემიის ნამდვილ და საპატიო წევრთა საერთო კრება.

25. საერთო კრება აწესებს მეცნიერებათა აკადემიისა და მისი შემადგენელი ნაწილების სამეცნიერო მუშაობის საერთო გეზს და სწვევტს ორგანიზაციული ხასიათის ძირითად საკითხებს, ისმენს მოხსენებებს—როგორც მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა, ისე მის ცალკეულ წევრებისას, იხილავს სამეცნიერო, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-საზოგადოებრივი ხასიათის პრობლემებს, ირჩევს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო და ნამდვილ წევრებს და ამტკიცებს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს.

**შენიშვნა.** მეცნიერებათა აკადემიის თითოეული წევრი, რომელსაც სურვილი აქვს წარადგინოს საერთო კრებაზე განსახილველად რომელიმე საკითხი, ვალდებულია ამის შესახებ წინასწარ, წერილობით აცნობოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

26. განყოფილებები ისმენენ სამეცნიერო მოხსენებასა და წინადადებებს და ახორციელებენ მათში შემავალ დაწესებულებათა მეცნიერულ ხელმძღვანელობას.

თითოეული განყოფილების საქმიანობა წარმართება განყოფილების ბიუროს მიერ, რომლის სათავეშიაც დგას განყოფილების აკადემიკოსი-თავმჯდომარე. განყოფილების ბიურო იწვევს განყოფილების სხდომებს საჭიროების მიხედვით.

27. განყოფილების შემადგენლობაში შედიან მეცნიერებათა აკადემიის სათანადო სპეციალობის ნამდვილი წევრები, წევრი-კორესპონდენტები და მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა დირექტორები.

განყოფილების შემადგენლობა მტკიცდება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

28. საერთო კრებისა და განყოფილების სხდომები ტარდება სესიის წესით. მიმდინარე სამეცნიერო და ორგანიზაციული საკითხების გადასაჭრელად საერთო კრება და განყოფილების სხდომები მოიწვევა საჭიროების მიხედვით.

29. მეცნიერებათა აკადემია ყოველწლივ საერთო კრებაზე ისმენს და ამტკიცებს აკადემიის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენებას.

30. გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობენ:

ა) საერთო კრებაზე: მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრები და ნამდვილი წევრები;

ბ) განყოფილებებში: მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრები, ნამდვილი წევრები და სათანადო განყოფილების წევრი-კორესპონდენტები, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის სათანადო დაწესებულებათა დირექტორები.

მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნების განხორციელების უფლებით სარგებლობენ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო და ნამდვილი წევრები.

31. მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტები და ცალკეულად წესებულებათა ხელმძღვანელები საერთო კრების სხდომებზე ყველა საკითხის შესახებ სარგებლობენ სათათბირო ხმის უფლებით.

32. მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე ყველა საკითხი, გარდა საკითხებისა, რომლებიც შეეხება ნამდვილი წევრების, საპატიო წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების არჩევნებს, წყდება უბრალო ხმის უმეტესობით.

33. პრეზიდიუმი ახორციელებს საერთო კრების გადაწყვეტილებას და საერთო კრებებშორისს პერიოდში ითვლება მეცნიერებათა აკადემიის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ; მის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ პრეზიდიუმი მოახსენებს უახლოეს საერთო კრებას.

34. პრეზიდიუმი იხილავს და ამტკიცებს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა სამუშაო გეგმებს და ისმენს მათ ანგარიშებს, იხილავს და წყვეტს სამეცნიერო-ორგანიზაციულ საკითხებს, ადგენს მეცნიერებათა აკადემიის ყოველწლიურ ხარჯთაღრიცხვას, განმკარგველობს კრედიტებს, ატარებს ფულადი სახსრების ხარჯვის კონტროლს, ამყარებს კავშირს მეცნიერებათა აკადემიისა და მთავრობისა და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შორის, ხელმძღვანელობს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობას და იწვევს მეცნიერებათა აკადემიის სესიებსა და საერთო კრებებს.

35. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი შედგება პრეზიდენტისაგან, ორი ვიცე-პრეზიდენტისაგან, ორი აკადემიკოსის—განყოფილების თავმჯდომარისაგან და ორი აკადემიკოსის—პრეზიდიუმის წევრთაგან.

36. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აგრეთვე პირველი და მეორე ვიცე-პრეზიდენტი ირჩევა საერთო კრების მიერ ხუთი წლის ვადით მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა რიცხვთაგან.

37. მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა თავმჯდომარეები აირჩევიან სათანადო განყოფილებათა მიერ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა რიცხვთაგან სამი წლის ვადით და მტკიცდებიან საერთო კრების მიერ.

38. პრეზიდიუმის წევრი აკადემიკოსები აირჩევიან მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ სამი წლის ვადით და მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით, განაგებენ მუშაობის ცალკეულ უბანს.

39. სარედაქციო-საგამომცემლო მოღვაწეობის ხელმძღვანელობა ეკუთვნის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს, რომელსაც აირჩევს საერთო კრება.

40. მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველი ინიშნება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ და მონაწილეობას იღებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით.

41. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საქმეთა გამგებლობისათვის პრეზიდიუმი ნიშნავს პრეზიდიუმის სწავლულ მდივანს. პრეზიდიუმის სწავლული მდივანი მონაწილეობას იღებს პრეზიდიუმის სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით.



დებულება მეცნიერებათა აკადემიის საქმეთა მმართველისა და პრეზიდიუმის სწავლული მდივნის უფლება-მოვალეობის შესახებ მტკიცდება მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მიერ.

#### V. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებანი

42. მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ძირითად ორგანოს წარმოადგენენ მისი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები.

დამტკიცებულ სამუშაო პროგრამისა და დაწესებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ინსტიტუტებს ეძლევათ სრული ოპერატიული და სამეურნეო დამოუკიდებლობა. ინსტიტუტები უშუალოდ ექვემდებარებიან პრეზიდიუმს.

43. ინსტიტუტის სათავეში დგას დირექტორი, რომელიც განაგებს მას ერთმმართველობის უფლებით. დირექტორი აირჩევა მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა რიცხვათაგან, ან ცოდნის სათანადო დარგის მეცნიერ სპეციალისტთაგან სამი წლის ვადით მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების ან განყოფილების მიერ და, უკანასკნელ შემთხვევაში, მტკიცდება საერთო კრების მიერ.

44. რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა და საწარმოო ძალთა შესწავლის ორგანიზაციის საქმეს განაგებს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო. საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭო აწყობს რესპუბლიკის ბუნებრივ რესურსებისა და საწარმოო ძალთა შემსწავლელ ექსპედიციებს და ხელმძღვანელობს აღნიშნულ ექსპედიციებს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და სხვა სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციების მეშვეობით, იწვევს კონფერენციებს ბუნებრივ რესურსების შესწავლის მიზნით, განაზოგადებს საწარმოო ძალთა შესასწავლად წარმოებულს საკვლევო მუშაობას და ხელს უწყობს მიღებული შედეგების პრაქტიკულად გამოყენებას.

თავისი მუშაობის გეგმას საბჭო უთანხმებს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს და წარუდგენს მას დასამტკიცებლად მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

თავისი მუშაობის შესახებ საბჭო პერიოდულად მოახსენებს რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებს და ანგარიშგებლობს აკადემიის წინაშე.

45. საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარე და წევრები აირჩევიან 3 წლის ვადით მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ და უშუალოდ ექვემდებარებიან მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს.

46. მეცნიერებათა აკადემიის დამხმარე დაწესებულებათა მუშაობის ორგანიზაციის წესები, აგრეთვე მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ და ტექნიკურ თანამშრომელთა დანიშვნა განისაზღვრება საგანგებო დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

47. მეცნიერებათა აკადემიას აქვს ორი საერთო აკადემიური პერიოდული ბეჭდვითი ორგანო: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ და „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური“.



48. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებასა და პრეზიდიუმს აქვს ბეჭდები საქართველოს სსრ ღერბის გამოხატულებით: პირველი — წარწერით ქართულ და რუსულ ენებზე „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემია“, მეორე — წარწერით „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი“.

**133. საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

1. იმის გამო, რომ სამეცნიერო დაწესებულებებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ცალკეულმა მეცნიერმა მუშაკებმა და მათმა ჯგუფებმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრობის კანდიდატებად წამოაყენეს 25 მეცნიერი მუშაკი, რომელთაგან მთავრობის კომისიამ მიზანშეწონილად სცნო 16 კაცის დამტკიცება მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 10 თებერვალს „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოწყობის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. № 21, მუხ. 132) გამოტანილი დადგენილების მე-5 მუხლის შესაცვლელად, გადიდდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა პირველი შემადგენლობა 16 კაცამდე.

2. მიღებულ იქნას მთავრობის კომისიის წინადადება და დამტკიცდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა შემდეგი პერსონალური შემადგენლობა:

- |                                     |  |
|-------------------------------------|--|
| 1. მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე   | — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,      |
| 2. ბერიტაშვილი ივანე სოლომონის ძე   | — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,      |
| 3. ახვლედიანი გიორგი სარიდანის ძე   | — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, |
| 4. შანიძე აკაკი გაბრიელის ძე        | — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, |
| 5. ხაჭაპურიძე გიორგი ვასილის ძე     | — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, |
| 6. კეკელიძე კორნელი სამსონის ძე     | — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,                         |
| 7. ჯანელიძე ალექსანდრე ილარიონის ძე | — გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,                          |

8. თვალპრელიძე ალექსანდრე ანტონის ძე — პროფესორი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პეტროგრაფიისა და მინერალოგიის კათედრის გამგე,
9. ჩუბინაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე — ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი,
10. ზაფარიევი კირიაკ სამსონის ძე — ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
11. უზნაძე დიმიტრი ნიკოლოზის ძე — პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
12. ჯანაშია სიმონ ნიკოლოზის ძე — ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
13. კეცხოველი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
14. ზაიცევი ფილიპე ადამის ძე — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი,
15. კვარაცხელია ტარასი ყარამანის ძე — სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი,
16. ჩიქობავა არნოლდ სტეფანეს ძე — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

3. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრების პირველი კრება მოწვეულ იქნას 1941 წლის 26 თებერვალს, რომელზედაც მოხდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტის და პრეზიდიუმის წევრთა არჩევნები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში არჩეულ იქნას 5 კაცის შემადგენლობით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრების საორგანიზაციო კრების გახსნა დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კიკნაძეს.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესია ჩაატაროს 1941 წლის 27 თებერვლიდან 2 მარტამდე.

დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს ამხ. კიკნაძეს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესიის მუშაობაში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

9/55



**გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო**

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში  
ხელწერილის ქვეშ

მისამართისათვის

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.

შეკვეთა № 1622

ტირაჟი 1.600